

დამტკიცებულია კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 14.01.2022 წ. #01/2022 და წარმომადგენლობითი საბჭოს 17.02.2022 წ. #04/2022 წლის დადგენილებებით

ცვლილებები შეტანილია კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 13.05.2022 წ. #17/2022 და წარმომადგენლობითი საბჭოს 20.05.2022 წ. #18/2022 წლის დადგენილებებით;

დანართი №1

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საორკესტრო სიმებიანი საკრავების/ჩასახბერი და დასარტყამი საკრავების, აკადემიური გუნდის დირიჟორობის, საოპერო მომზადებისა და სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულებებზე კონცერტმაისტერების (კორეპეტიტორების) სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (ტექსტში შემდგომ - "კონსერვატორია") საშემსრულებლო ფაკულტეტის საორკესტრო სიმებიანი საკრავების/ჩასახბერი და დასარტყამი საკრავების, აკადემიური გუნდის დირიჟორობის, საოპერო მომზადებისა და სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულებებზე კონცერტმაისტერების (კორეპეტიტორების) სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესი (ტექსტში შემდგომ - „წესი“) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2. წესის მიზანია უზრუნველყოს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში კონცერტმაისტერების დაკომპლექტება კონსერვატორიის მიზნებისა და მოთხოვნების შესაბამისად, კონცერტმაისტერის (კორეპეტიტორის) თანამდებობების დაკავების მსურველისა და კონსერვატორიის ინტერესების გათვალისწინებით, კონკურსის საჯაროობის, ღიაობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების განუხრელი დაცვით.

3. წესის დანიშნულებაა, მასში გათვალისწინებული დებულებებისა და პროცედურების მეშვეობით უზრუნველყოს დაწესებულების მოთხოვნებისა და პრეტენდენტის ნიჭის, უნარების, პოტენციალისა და შესაძლებლობების ობიექტური შეფასება, მათი ერთმანეთთან ურთიერთშეჯერებისა და საერთო ინტერესების მომცველი შრომითსამართლებრივი კავშირის ჩამოყალიბება, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დამყარება კონსერვატორიის კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება

1. კონცერტმაისტერის (კორეპეტიტორის) პოზიციის დასაკავებლად კონკურსს აცხადებს კონსერვატორიის რექტორი.
2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე შესაძლებელია გამოქვეყნდეს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებად პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში. ზუსტი ვადა განისაზღვრება კონსერვატორიის რექტორის ბრძანებით.
3. კონკურსის ჩატარების სხვა აუცილებელი ვადები დგინდება კონსერვატორიის რექტორის ბრძანებით. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება კონსერვატორიისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმედდეს, კონკრეტული საკონკურსო ვადის დასრულების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.
4. კონცერტმაისტერის (კორეპეტიტორის) თანამდებობაზე აირჩევა უმაღლესი სამუსიკო განათლების მქონე პირი, 4 (ოთხი) წლის ვადით.
5. ის კონცერტმაისტერები (კორეპეტიტორები), რომლებსაც კონკურსის წესით, არანაკლებ სამჯერ აქვთ დაკავებული აღნიშნული თანამდებობა, მიმდინარე კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, დაექვემდებარებიან ატესტაციას, რომლის პირობები დგინდება ცალკე აქტით.
6. კონცერტმაისტერის (კორეპეტიტორის) საკონკურსო ადგილების რაოდენობა, წინამდებარე წესში გათვალისწინებული მიმართულებების მიხედვით, დგინდება რექტორისა და ფაკულტეტის საბჭოს ურთიერთშეთანხმებით და აისახება რექტორის ბრძანებაში, რომლითაც ცხადდება კონკურსი შესაბამის მიმართულებაზე კონცერტმაისტერის (კორეპეტიტორის) თანამდებობის დასაკავებლად.

მუხლი 3. საკონკურსო კომისია

1. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია (შემდგომში - „საკონკურსო კომისია“, ან „კომისია“), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება და მტკიცდება კონსერვატორიის რექტორის ბრძანებით.
2. საკონკურსო კომისია შესაძლებელია შედგებოდეს კონსერვატორიის აკადემიური და შესაბამისი დარგის მოწვეული (მათ შორის ქართული ენის მცოდნე უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე) სპეციალისტებისგან. კონსერვატორიის რექტორს, საჭიროებისამებრ, შეუძლია შექმნას ერთდროულად რამდენიმე საკონკურსო კომისია მიმართულებების მიხედვით.
3. კომისიის შემადგენლობაში კონსერვატორიის რექტორის მიერ განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი და კომისიის წევრები.
4. კომისიის წევრის/წევრების აცილების საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.
5. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის 2/3. კომისიის წევრმა შეიძლება იმუშაოს როგორც ფიზიკურ, ისე ონლაინ რეჟიმში.

6. კომისია კანდიდატთა შეფასებისას გადაწყვეტილებას იღებს წევრთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, რაც უნდა იყოს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე ერთით მეტი.
7. კომისია პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს წევრთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, რაც უნდა იყოს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე ერთით მეტი.
8. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. იმ შემთხვევაში, თუკი კომისიის თავმჯდომარე ვერ იღებს მონაწილეობას კომისიის მუშაობაში (ფიზიკურად ან ონლაინ რეჟიმის ფორმატში), სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ასეთ შემთხვევაში სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით. კვორუმის არსებობისა და კომისიის მდივნის სხდომაზე ვერ მონაწილეობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კომისიის სხდომის მდივნის არჩევის შესახებ, რომელიც პასუხისმგებელია კომისიის ამ სხდომის ოქმის შედგენაზე.
9. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის ოქმებში.
10. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.
11. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობა და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ და ხელს აწერს გაუთქმელობის დოკუმენტს (დანართი 5)
12. კონკურსის ჩატარების თარიღ/ებ/ი და განრიგი დგინდება საკონკურსო კომისიის მიერ, ქვეყნდება საჯაროდ და ეგზავნებათ კონკურსანტებს ანკეტაში მითითებულ ელ. ფოსტაზე 2 დღით ადრე.
13. კონკურსანტებისათვის კონკურსი ტარდება მხოლოდ ფიზიკურ რეჟიმში.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატი

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით, წარუდგინოს კონსერვატორიის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატს (ტექსტში შემდგომ - აპარატი).
2. საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატი მტკიცდება კონსერვატორიის რექტორის ბრძანებით.
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატს წარუდგინოს განცხადება (დადგენილების დანართი #2) კონკურსში მონაწილეობის შესახებ. კონკურსში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს შემოიტანოს განაცხადი მხოლოდ ერთ მიმართულებაზე გამოცხადებულ ერთ საკონკურსო თანამდებობაზე. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია კონკურსში მონაწილეობისათვის წარუდგინოს განცხადებას დაურთოს კონკურსანტის შევსებული ანკეტა (დადგენილების დანართი №3) და მოთხოვნილი დოკუმენტაცია
4. კონკურსანტის მიერ შევსებული განცხადების, ანკეტისა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით (CD-ზე ჩაწერილი).

5. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ანკეტა შევსებულ უნდა იქნას სრულად და მას უნდა ერთვოდეს ანკეტაში აუცილებლად მოთხოვნილი ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია.
6. ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდეგ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) არ მიიღება.
7. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატის მიერ კონკურსანტის თანდასწრებით მოწმდება და ილუქება კონსერვატორიის ბეჭდით.
8. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ დაირღვევა წინამდებარე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნები, მას უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ეძლევა ხსენებული დარღვევებ/-ის გამოსწორების ვადა, არაუმეტეს საკონკურსო განცხადებების (დოკუმენტაციის) მიღების ვადის ამოწურვიდან ორი სამუშაო დღისა.
9. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წინამდებარე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში საკონკურსო განცხადება არ მიიღება.
10. წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობის (უმაღლესი სამუსიკო განათლება) დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში განაცხადი საკონკურსო აპარატის მიერ არ მიიღება.
11. საკონკურსო დოკუმენტაცია შესაბამის საკონკურსო კომისიას გადაეცემა აპარატის მიერ საკონკურსო განცხადებების მიღების დასრულებისთანავე, დალუქულ მდგომარეობაში, აპარატის უფროსის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებულ საკანცელარიო აღწერის დოკუმენტთან ერთად.
12. საკონკურსო დოკუმენტაცია იხსნება საკონკურსო კომისიის სხდომაზე კომისიის მიერ.

მუხლი 5. კონცერტმაისტერის (კორეპეტიტორის) კონკურსის პირობები და შეფასების წესი

5.1. სოლო აკადემიური სიმღერის პიანისტი კონცერტმაისტერის გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი ფასდება შემდეგ ეტაპებად:

- 5.1.1. პროგრამის შესრულება
- 5.1.2. გაკვეთილი
- 5.1.3. ფურცლიდან კითხვა
- 5.1.4. ტრანსპონირება
- 5.1.5. უცხოენოვანი ტექსტის წაკითხვა

5.1.1. საკონცერტო პროგრამის ზოგადი მოთხოვნები:

- პროგრამა უნდა შეიცავდეს გავრცობილი არიას; და Lied-ს ან რომანსი;
- პროგრამის შესრულება კონკურსანტს შეუძლია სოლისტთან ან/და სტუდენტთან ერთად

N.B. კონკურსანტი თავად უზრუნველყოფს სოლისტის მოყვანას, რომელიც შეიძლება იყოს კურსდამთავრებული ან სტუდენტი.

კონცერტმაისტერის მიერ შესრულებული პროგრამის შეფასების კრიტერიუმები:

- მუსიკალური ტექსტის ზუსტი, მხატვრული გააზრება;
- მუსიკალური ფორმის გამთლიანება;
- ნაწარმოების, სტილისა და ჟანრის შეგრძნება;
- ბგერის დაბალანსების უნარი სოლისტის ტემპრის გათვალისწინებით.

5.1.2. გაკვეთილის ჩატარება

- გაკვეთილი ტარდება კამერულ რეპერტუარზე
- გაკვეთილი ტარდება სტუდენტთან
- ხანგრძლივობა 30 წუთი

N.B. გაკვეთილის ჩასატარებლად სტუდენტით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია კონსერვატორია

გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმები:

- მუსიკალური ტექსტის ზუსტი, მხატვრული გააზრება სიტყვიერ ტექსტთან მიმართებაში;
- ნაწარმოების, სტილისა და ჟანრის შეგრძნება;
- ავტორის მიერ მითითებული ტემპო/რიტმის ზუსტი შეგრძნება და სიტყვიერი ტექსტიდან გამომდინარე, მუსიკალური ფრაზების გააზრება;
- ბგერების სუფთად ინტონირების კონტროლი.

5.1.3. ფურცლიდან კითხვა

- რომანსი ან ლიდი
- მოითხოვება დაკვრა სამ ხაზში

5.1.4. ტრანსპონირება

- კამერული რეპერტუარი
- 1/2 ტონით
- ორ ხაზში სიმღერის გარეშე

5.1.5. უცხო ენაზე ტექსტის წაკითხვა:

-სავალდებულოა 3 ენაზე წაკითხვა: გერმანული, იტალიური,რუსული.
 -კონკურსანტს სამი ენიდან ჩაეთვლება ის ერთი ენა, რომელიც ფურცლიდან კითხვაში შეხვდა. (ცვლილება შეტანილია კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 13.05.2022 წ. #17/2022 და წარმომადგენლობითი საბჭოს 20.05.2022 წ. #18/2022 წლის დადგენილებებით);

კონკურსანტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. სოლო აკადემიური სიმღერის პიანისტი კონცერტმასტერი (კორეპეტიტორი) შეფასება ეტაპების მიხედვით:

- პროგრამის შესრულება 35
- გაკვეთილი 35
- ფურცლიდან კითხვა 10
- ტრანსპონირება 10

- უცხოენოვანი ტექსტის წაკითხვა 10

5.2. საოპერო მომზადების პიანისტი კონცერტმაისტერის (კორეპეტიტორი) გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი ფასდება შემდეგ ეტაპებად:

- 5.2.1. პროგრამის შესრულება
- 5.2.2. გაკვეთილი
- 5.2.3. ფურცლიდან კითხვა
- 5.2.4. უცხოენოვანი ტექსტის წაკითხვა

5.2.1. საკონცერტო პროგრამის ზოგადი მოთხოვნები:

- პროგრამა უნდა შეიცავდეს დიდ საოპერო სცენას
- ხანგრძლივობა 10-15 წთ
იხ. სავალდებულო ოპერების ჩამონათვალი ქვემოთ

N.B. კონკურსანტი თავად უზრუნველყოფს სოლისტის მოყვანას, რომელიც შეიძლება იყოს კურსდამთავრებული ან სტუდენტი.

საოპერო მომზადების კონცერტმაისტერის (კორეპეტიტორის) მიერ შესრულებული პროგრამის შეფასების კრიტერიუმები:

- სცენაში მონაწილე ვოკალური ხმების ტემბრალური ბუნების გათვალისწინებით ბგერის დაბალანსების უნარი;
- სადირიჟორო საწყისის მკაფიო გამოვლენა;
- ნაწარმოების, სტილისა და ჟანრის შეგრძნება;
- მუსიკალური აზრის და განწყობის გამთლიანებისა და სცენის მასშტაბურად გადმოცემის უნარი.
- პიანისტური ოსტატობა და კლავირის საორკესტრო ჟღერადობით გადმოცემის უნარი.
- ანსამბლის/სცენის ერთ მთლიან კონტექსტში აღქმის უნარი.

5.2.2. გაკვეთილი ტარდება:

- ანსამბლზე ან საოპერო სცენაზე
- სტუდენტთან/ებთან
- ხანგრძლივობა 30 წუთი

გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმები:

- სიტყვიერი ტექსტის ფონეტიკურად სწორი წარმოთქმა და აქცენტების დასმა;
- სოლისტებთან მიმართებაში სადირიჟორო თვისებების დამაჯერებელი, ორგანული გამოვლენა;
- სცენის დრამატურგიული კონცეფციის ჩამოყალიბება;
- რეპლიკების მიწოდების უნარი;

5.2.3. ფურცლიდან კითხვა:

- სცენა ან ანსამბლი
- კონკურსანტისთვის უცხო ნაწარმოებზე
- სამ ხაზში დაკვრით და სიმღერით

5.2.4. უცხო ენაზე ტექსტის წაკითხვა:

-სავალდებულოა 3 ენაზე წაკითხვა: გერმანული, იტალიური, რუსული.

-კონკურსანტს სამი ენიდან ჩაეთვლება ის ერთი ენა, რომელიც ფურცლიდან

კითხვაში შეხვდა. (ცვლილება შეტანილია კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 13.05.2022 წ. #17/2022 და წარმომადგენლობითი საბჭოს 20.05.2022 წ. #18/2022 წლის დადგენილებებით);

კონკურსანტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საოპერო მომზადების პიანისტი კონცერტმაისტერი (კორეპეტიტორი) შეფასება ეტაპების მიხედვით:

- პროგრამის შესრულება - 40 ქულა;
- გაკვეთილი - 35
- ფურცლიდან კითხვა -15 ქულა;
- უცხო ენაზე კითხვა 10

სავალდებულო ოპერების ჩამონათვალი:

ჯ.პერგოლეზი-„მოახლე ქალბატონი“.

გ.ფ.ჰენდელი-„ქსერქსი“, „იულიუს კეისარი“, „ალჩინა“, „როდელინდა“, „აგრიპინა“, „არიოდანტე“, „ორლანდო“, „ტამერლანო“, „რინალდო“, „სამსონი“, „პერკულესი“, „ოტონი“, „რადამისტო“, „ამადიჯი“.

ვ.ა.მოცარტი-„ჯადოსნური ფლეიტა“, „ტიტუსის მოწყალება“, „ასე იქცევა ყველა ქალი“, „დონ ჯოვანი“, „ფიგაროს ქორწინება“, „მოტაცება სერალიდან“, „ბასტიენი და

ბასტიენა“, „იდომენეო“, „მითრიდატე პონტოელი მეფე“.

ჯ.როსინი-„სევილიელი დალაქი“, „სემირამიდა“, „კონკია“, „ვილგელმ ტელი“, „ტანკრედი“, „იტალიელი ალჟირში“, „ოტელო“, „ქურდი კაჭკაჭი“, „მოსე ეგვიპტეში“, „თურქი იტალიაში“, „მუჰამედ მეორე“.

კ.მ.ვებერი-„თავისუფალი მსროლელი“.

რ.ვაგნერი-„ლოენგრინი“, „ნიბელუნგის ბეჭედი“, „მფრინავი ჰოლანდიელი“, „ვალკირია“,

„ტრისტანი და იზოლდა“, „რაინის ოქრო“, „მაისტერზინგერები“, „ზიგფრიდი“, „რიენცი“.

ვ.ბელინი-„ნორმა“, „მთვარეული“, „პურიტანები“, „მონტეკეები და კაპულეტები“, „მეკობრე“, „უცხოელი ქალი“.

გ.დონიცეტი-„დონ პასკუალე“, „ლუჩია დი ლამერმური“, „სიყვარულის ნექტარი“, „მარია

სტიუარტი“, „რობერტო დევერუ“, „პოლიუტო“, „პოლკის შვილობილი“, „ლუკრეცია ბორჯა“, „ფავორიტი ქალი“, „ანა ბოლენი“, „ლინდა დი შამუნი“, „მარია დი რუდენცი“.

ჯ.ვერდი-„რიგოლეტო“, „ტრავიატა“, „ტრუბადური“, „ბალ-მასკარადი“, „მაკბეტი“, „ბედის

ძალა“, „დონ კარლოსი“, „აიდა“, „ნაბუქო“, „ოტელო“, „ფალსტაფი“,

„ატილა“, „ლომბარდიელები“, „ერნანი“, „ორი ფოსკარი“, „ჯოვანა

დარკი“, „კორსარი“, „ლუიზა მილერი“, „სიცილიური მწუხრი“, „სიმონ ბოკანერა“.
ჯ.პუჩინი- „ბოჰემა“, „მადამ ბატერფლაი“, „მანონ ლესკო“, „ტურანდოტი“, „ტოსკა“, „ჯანი სკიკი“, „ლაბადა“, „და ანჟელიკა“, „ქალიშვილი დასავლეთიდან“, „ედგარი“, „მერცხალი“.
რ.ლეონკავალო- „ჯამბაზები“, „ზაზა“, „ბოჰემა“.
ა.პონკიელი- „ჯოკონდა“.
პ.მასკანი- „სოფლის ღირსება“.
ა.ბოიტო- „მეფისტოფელი“.
უ.ჯორდანო- „ფედორა“, „ანდრე შენიე“.
ჟ.ბიზე- „კარმენი“, „მარგალიტის მამიებელნი“.
ლ.დელიბი- „ლაკმე“
ჟ.მასნე- „ვერთერი“, „მანონი“, „ტაი“.
შ.პუნო- „ფაუსტი“, „რომეო და ჯულიეტა“.
კ.სენ-სანსი- „სამსონი და დალილა“.
ა.დვორჟაკი- „ალი“, „არმიდა“.

მ.გლინკა- „რუსლანი და ლუდმილა“, „ივან სუსანინი“.
ა.დარგომიჟსკი- „ალი“.
ა.ბოროდინი- „თავადი იგორი“.
ნ.რიმსკი-კორსაკოვი- „მეფის საცოლე“, „სადკო“, „ოქროს მამალი“, „თოვლია“.
მ.მუსორგსკი- „ბორის გოდუნოვი“, „ხოვანშინა“.
ს.რახმანინოვი- „ალეკო“.
პ.ჩაიკოვსკი- „პიკის ქალი“, „ევეგენი ონეგინი“, „მაზეპა“, „იოლანტა“, „ორლეანელი ქალწული“.
ზ.ფალიაშვილი- „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, „ლატავრა“.
ბ.კვერნაძე- „იყო მერვესა წელსა“, „მედეა“.
მ.ბალანჩივაძე- „დარეჯან ცბიერი“.
ო.თაქთაქიშვილი- „მინდია“, „პირველი სიყვარული“, „მთვარის მოტაცება“.
რ.ლალიძე- „ლელა“ (ცვლილება შეტანილია კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 13.05.2022 წ. #17/2022 და წარმომადგენლობითი საბჭოს 20.05.2022 წ. #18/2022 წლის დადგენილებებით);

5.3. საორკესტრო სიმებიანი საკრავების/ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების მიმართულების პიანისტი-კონცერტმანისტერის გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი ფასდება ორ ეტაპად:

- 5.3.1. პროგრამის შესრულება
- 5.3.2. ფურცლიდან კითხვით სოლისტის თანხლებით

5.3.1. საკონცერტო პროგრამის ზოგადი მოთხოვნები:

ა) კონცერტი - მოცარტის სავალდებულო ორი კონცერტიდან, კონკურსანტი სურვილისამებრ ირჩევს ერთ-ერთ კონცერტს მითითებული რედაქციით.

ბ) ვირტუოზული პიესა (კუბიურების გარეშე) - კონკურსანტი სურვილისამებრ თავად ირჩევს ერთ ვირტუოზულ პიესას არსებული ჩამონათვალიდან.

N.B. კონკურსანტი თავად უზრუნველყოფს სოლისტის მოყვანას, რომელიც შეიძლება იყოს კურსდამთავრებული ან სტუდენტი.

სავალდებულო საკონკურსო პროგრამა:

- W.A. Mozart - Violin Concerto No.5 in A-Dur, KV 219 - **I movement.** (Klavierauszug von M.Schelhaas)

ან

- W.A. Mozart - Flute Concerto No. 1 in G-dur KV 313 - **I movement.** (Klavierauszug von E.List und S.Thiele)

ვიოლინო

- Ravel – Tzigane (ვიოლინოს შესავლის სოლო კადენციის გარეშე)
- Weniavski – Faust fantasy op.25
- Weniavski - Variation on an original theme. op.15
- Weniavski – Polonaise N1 in D major op.4
- Weniavski – Scherzo Tarantelle op.16
- Tchaikovsky – Valse-Scherzo in C major, op.34
- Chausson – Poeme op.25
- Manuel de Falla – Danse Espagnole
- Sarasate – Carmen Fantasy op.25
- Saint-Saens - Etude en Forme de Valse, op.52
- Waxman - Carmen Fantasy

ალტი

- Enescu - Konzertstuck viola and piano
- Brahms - Scherzo viola and piano
- Schumann - (Machenbilder) op.113 No.3 ALLEGRO MOLTO

ჩელო

- Schumann - Fantasiestucke op.73 (no.2 და no.3 ორივე პიესა სრულდება)
- Schumann - Adagio and allegro for cello and piano, op.70
- Popper - Hungarian Rhapsody op.68
- Popper - tarantella op.33

ფლეიტა

A. Jolivet: Chant de Linos for flute and piano

- E. Bozza: Agrestide for Flute and Piano
- G. Enesco: Cantabile et Presto for flute and piano
- A. Casella: Sicilienne et Burlesque, Op.23, for flute and piano

ჰობოი

- C. Nielsen - Fantasy Pieces (Fantasistykker) for Oboe and Piano

კლარნეტი

- C. Debussy - Premiere Rhapsodie B Dur, 1910
- R. Schumann - Fantasiestucke op73 (N2 და N3 ორივე პიესა სრულდება)
- L. Bassi - Fantasia Rigoletto fantasia di concerto
- E. Bozza Bucolique Improvisation et caprice
- A. Rosenblatt – Carmen Fantasy

ფაგოტი

- H. Dutilleux: Sarabande et Cortège
- R. Boutry - "Interferences I" for Bassoon and Piano
- E. Bozza: Récit, Sicilienne et Rondo
- Paul Jeanjean: Prélude et Scherzo

ვალტორნა

- Schumann - Adagio and Allegro for Horn and Piano, Op. 70

საყვირი

- A. Goedicke concert etude
- J.E. Barat. Andante et Scherzo
- T. Francis Fantasy for Cornet and Piano
- M. Mihalovici Scherzo-Valse

კონკურსანტის მიერ შესრულებული პროგრამის შეფასების კრიტერიუმები:

1. მუსიკალური გრაფიკული ტექსტის ზუსტი გააზრება;
2. ნაწარმოებში რიტმული საყრდენის ორგანიზაცია;
3. მუსიკალური ფორმის და აზრის გამთლიანება;
4. ნაწარმოების, სტილისა და ჟანრის შეგრძნება; ავტორის მიერ მითითებული ტემპო/რიტმის ზუსტი შეგრძნება;
5. პიანისტური ოსტატობა;
6. კლავირის საორკესტრო ჟღერადობით გადმოცემის უნარი;
7. ბგერის დაბალანსების უნარი სოლისტის ინსტრუმენტის ტემბრის გათვალისწინებით;
8. საკრავების ტექნიკური სირთულეების: არტიკულაციის, შტრიხების გათვალისწინება;
9. სოლისტთან მიმართებაში ემოციის, ბგერის, ინტონირების და მუსიკალური ფორმის აბსოლუტური კონტროლი.
10. კონცერტებში - სადირიჟორო საწყისის მკაფიო გამოვლენა.

5.3.2. ფურცლიდან კითხვა:

- სოლისტის თანხლებით
- ბაროკოს სონატის ნელი ნაწილი

ფურცლიდან კითხვის შეფასების კრიტერიუმები:

- სტილის აღქმა
- ტექსტის ზუსტი წაკითხვა
- სოლისტთან სწრაფი რეაგირება

N.B. ფურცლიდან კითხვისას თანმხლებ სოლისტს უზრუნველყოფს კონსერვატორია კონკურსანტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საორგესტრო სიმებიანი/ ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების პიანისტი კონცერტმამისტერი შეფასება ეტაპების მიხედვით:

- პროგრამის შესრულება 85
- ფურცლიდან კითხვა 15

5.4. აკადემიური გუნდის დირიჟორობის მიმართულების პიანისტი-კონცერტმამისტერის გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი ფასდება ორ ეტაპად:

5.4.1. სავალდებულო პროგრამის შესრულება

5.4.2. ფურცლიდან კითხვა

5.4.1. სავალდებულო პროგრამის ზოგადი მოთხოვნები:

- სავალდებულო ა კაპელა საგუნდო ნაწარმოების შესრულება დამოუკიდებლად დირიჟორისა და მეწყვილე კონცერტმამისტერის გარეშე
 - ა. გრეჩანინოვი - Над неприступной крутизною
- ა კაპელა საგუნდო ნაწარმოების შესრულება მეორე კონცერტმამისტერთან წყვილში დირიჟორთან ერთად (კონკურსანტი თავად ირჩევს ნაწარმოებს)
 - ი. კეჭაყმაძე - ჩემ სიმღერას ვინ გაიგებს
 - დ. შოსტაკოვიჩი - 9 იანვარი

N.B. ფასდება ის კონკურსანტი, ვინც უკრავს ქალთა გუნდს
- კანტატა-ორატორიული ჟანრის პოლიფონიური ნაწარმოების შესრულება მეორე კონცერტმამისტერთან წყვილში დირიჟორთან ერთად (კონკურსანტი თავად ირჩევს ნაწარმოებს)
 - ჯ. როსინი - Stabat Mater #10 Finale
 - ი. ჰაიდნი - ორატორია „წელიწადის დრონი“ - #19 ჭექა-ქუხილი

N.B. ფასდება ის კონკურსანტი, ვინც უკრავს საფ-ნო თანხლებას
- საოპერო სცენის შესრულება მეორე კონცერტმამისტერთან წყვილში დირიჟორთან ერთად (კონკურსანტი თავად ირჩევს ნაწარმოებს)
 - ფალიაშვილი - ოპ. „აბესალომ და ეთერი“ – III მოქმ. ფინალი სცენა
 - მუსორგსკი - ოპ. „ბორის გოდუნოვი“ - პროლოგი, II სურათი, კორონაციის სცენა

N.B. ფასდება ის კონკურსანტი, ვინც უკრავს საფ-ნო თანხლებას

კონცერტმამისტერის მიერ შესრულებული პროგრამის შეფასების კრიტერიუმები:

1. ფორტეპიანოს ხმოვანების მიახლოება გუნდის ჟღერადობასთან. ე.ი. საგუნდო პარტიტურის ფ-ნოზე გაჟღერება საგუნდო სპეციფიკის გათვალისწინებით (იგულისხმება გუნდთან მიახლოებული ხმოვანება, საგუნდო ლეგატო, საგუნდო ტუტი, ნიუანსი, შტრიხი, რეგისტრები კონკრეტული მხატვრული თუ ტექნიკური ამოცანებიდან გამომდინარე და ა.შ.);
2. დირიჟორთან ერთად პროგრამის შესრულებისას დირიჟორის ჩანაფიქრის ამოცნობა, მის ყველა მოთხოვნაზე მყისიერი რეაგირება (მიუხედავად იმისა ეთანხმება თუ არა დირიჟორის თითოეულ ჟესტს, ტემპს, ნიუანსს, ინტერპრეტაციას და ა.შ.)
3. ანსამბლის შეგრძნება (მუსიკირების პროცესში ჩართვა, კონტაქტი დირიჟორთან, მეორე კონცერტმამისტერთან);
4. პიანისტური ოსტატობა;
5. საორკესტრო ფაქტურის მასშტაბურად წარმოჩენა საოპერო და კანტატა-ორატორიული ჟანრის ნაწარმოებებში
6. მუსიკალური ფორმის, აზრისა და განწყობის გამთლიანება; კომპოზიტორის ჩანაფიქრის არტისტული შესრულება;
7. ნაწარმოების, სტილისა და ჟანრის შეგრძნება;
8. მუსიკალური გრაფიკული ტექსტის ვერტიკალური მოსმენა;
9. ნაწარმოებში მუსიკალური ქსოვილის რიტმული ორგანიზაცია;

5.4.2. ფურცლიდან კითხვა:

- შერეული გუნდისთვის 4 სანოტო სისტემაზე გადმოცემული 1 მარტივი ა კაპელა საგუნდო პარტიტურის ფურცლიდან წაკითხვა *(ნაწარმოები არ არის წინასწარ ცნობილი)*
- კონკურსანტი ფურცლიდან კითხულობს მეწყვილის გარეშე

ფურცლიდან კითხვის შეფასების კრიტერიუმები:

- შერეული გუნდისთვის 4 სანოტო სისტემაზე გადმოცემული 1 მარტივი ა კაპელა საგუნდო პარტიტურის ფურცლიდან წაკითხვა სპეციფიკის გათვალისწინებით; *(ნაწარმოები არ არის წინასწარ ცნობილი)*

შენიშვნა:

1. კონკურსანტი კონცერტმამისტერი თავად უზრუნველყოფს მეწყვილე კონცერტმამისტერის მოყვანას
2. დირიჟორ სტუდენტს უზრუნველყოფს კონსერვატორია;
3. კონკურსანტის შეხვედრა დირიჟორთან მოხდება ერთჯერადად, კონკურსამდე 1 კვირით ადრე

კონკურსანტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

აკადემიური გუნდის დირიჟორობის კონცერტმამისტერის შეფასება ეტაპების მიხედვით:

- პროგრამის შესრულება 80
- ფურცლიდან კითხვა 20

მუხლი 6. გამარჯვებულის გამოვლენა

1. წინამდებარე წესით გათვალისწინებული საკონკურსო ეტაპების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენის შესახებ რანჟირების პრინციპით.
2. ერთ თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი პრეტენდენტი.
3. საკონკურსო კომისიის ოქმში/ებში აუცილებლად აისახება მიღებული გადაწყვეტილებების (მათ შორის, შეფასებების) საფუძვლიანობა და დასაბუთება.
4. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება კონკურსანტის/ებ/ის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით, რომელიც დასამტკიცებლად გადაეცემა კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოს.
5. საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგების ამსახველ შემაჯამებელ ოქმს საკანცელარიო წესით აგზავნის აკადემიურ საბჭოში. შემაჯამებელ ოქმს აკადემიური საბჭოს შესაბამის სხდომაზე წარმოადგენს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის მიერ არჩეული მომხსენებელი.
6. კონკურსის შედეგებს ამტკიცებს კონსერვატორიის აკადემიური საბჭო და აცხადებს საჯაროდ
7. კონკურსი დასრულებულად ითვლება კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე.
8. თუ საკონკურსო კომისია კვორუმის შეკრების პრობლემის არსებობის ან სხვა ობიექტური მიზეზის არსებობის გამო დადგენილ ვადებში ვერ დაასრულებს შესაბამის სავალდებულო პროცედურებს, მას შესაძლოა მიეცეს დამატებითი ვადა
9. კონკურსანტის ანკეტისა ან/და შეფასების ფორმის, აგრეთვე, მათში არსებული ინფორმაციის ნებისმიერი სახითა თუ ფორმით გაცემა სხვა პირზე დაუშვებელია იმ კონკურსანტის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული და ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი თანხმობის გარეშე, ვისი ანკეტა ან/და შეფასების ფორმა ან მათში არსებული ინფორმაციაც არის მოთხოვნილი
10. კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებას ექვემდებარება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა კონსერვატორიის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს. კონკურსანტს, მისი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტები (ასევე, სხვა მასალები), მათი ქსეროასლები კი რჩება (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) კონსერვატორიის ადამიანური რესურსების სამსახურში.